ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3900529

ნომერი: AR1589034

თარიღი : 27.03.2018

გაცემის თარიღი : 04.04.2018

გაცნობის თარიღი : 19.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი წმინდა ქეთევან დედოფალი , N 68;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

19.12.2016 წლის №3005258 გადაწყვეტილების გაცემისას სამსახურში წარმოდგენილი იყო №01.17.13.034.038.01.01.001, №01.17.13.034.038.01.01.004, №01.17.13.034.038.01.01.060, 01.17.13.034.038.01.01.003, №01.17.13.034.038.01.01.058, №01.17.13.034.038.01.01.057 ფართების ამონაწერები. საჭიროა დაზუსტდეს, რომელ ფართებს ეხება ცვლილება ამჯერად და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრეების თანხმობა ან მესაკუთრეები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად.

1.მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დეტალურად იქნას ასახული ინფორმაცია ვისი კუთვნილი ფართების ფასადებზეა დაგეგმილი ცვლილება (მიეთითოს მესაკუთრეების ვინაობა და საკადასტრო კოდები) ასევე დეტალურად განიმარტოს შეთანხმებულ ვერსიასთან მიმართებაში დაგეგმილი ცვლილება რაში გამოიხატება, ხოლო მეტი თვალსაჩინოებისათვის გრაფიკულ მასალაზე მოინიშნოს გასაკორექტირებელი ადგილები , შესაბამისი ტექსტური მინაწერებით;

2. დამატებით წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები საპროექტო (დასაკორექტირებელი) ფართის არეალების მონიშვნით და მეტი თვალსაჩინოებისათვის დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას უშუალოდ საპროექტო ტერასაზე გადაღებული ფოტოსურათები ,ხოლო საპროექტო გეგმებზე აისახოს შესაბამისი ტექსტური მინაწერებით საპროექტო ფართობების საკადასტრო კოდები და მესაკუთრეთა ვინაობა;

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge